პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში
2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №51 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

გ.იობაშვილი
საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

მ.სვინტრაძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-იურიდიული განყოფილების უფროსი

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 28 ოქტომბრის
№ განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის
ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია (შემდგომ, კომისია) თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია თავის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას, მიმდინარე წლის განმავლობაში „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში განხორციელდა 7 ცვლილება და ნუსხას დაემატა 26 ობიექტი, რომელთა პრივატიზაციის შემთხვევაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოხდება დამატებითი თანხების აკუმულირება.

კომისია შედგება თერთმეტი წევრისაგან.

2025 წლის ნოემბრიდან დღემდე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 15 სხდომა, განხილულია სულ 58 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები. ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და თითქმის ყველა მათგანზე მოწვეულნი იყვნენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, ასევე მონაწილეობა მიიღო კანონით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების განხილვას. მოცემულ პერიოდში, კომისიის მიერ აღნიშნულ თემაზე წარმოდგენილი ოთხი საკითხი იქნა განხილული.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2026 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე ხდებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების გაწეული საქმიანობისა თუ სამომავლო პერსპექტივების განხილვა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე მოისმინა მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული თუ სხვა ანგარიშვალდებული პირების ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ და განახორციელა მონიტორინგი მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წლის მაისისა და ივნისის თვეში ჩატარებულ გასვლით სხდომებზე კომისიამ მოისმინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ანგარიშები, ხოლო ივლისის თვეში კი-ანგარიშები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში

გაწეული მუშაობის შესახებ.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, კომისიამ განიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში მამია ორახელაშვილის ქუჩის სახელის შეცვლისა და მისთვის ავთანდილ დეკანოიძის სახელის მინიჭების შესახებ.“ კომისიამ საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებისა და მინისტრის ბრძანების საფუძველზე დადგენილი პროცედურების შესაბამისად შეიმუშავა დადებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად, რომელიც ეხება, როგორც მატერიალურ, ასევე ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ: ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სკვერების მოწყობას, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოების ჩატარებას, გარე განათების დამონტაჟებას, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრ სამუშაოებს, გზის საფარის მოწყობას და ა.შ, მერიის შესაბამისი სამსახურის წინაშე შუამდგომლობა გაეწია 80-მდე მოქალაქეს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: საკრებულოში შემოსული, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ პროგრამებსა თუ პროექტებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნების წარდგენა საკრებულოსათვის, ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურებისა თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონიტორინგი, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება და სხვა.

შენიშვნა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 სხდომაზე, 2026 წლის 28 ოქტომბერს, წინამდებარე ანგარიშს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, გიორგი იობაშვილი.

გ.იობაშვილი

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა

და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

განმარტებითი ბარათი

2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია:

ა) ზემოაღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესები განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის მიხედვით, კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

ბ) განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

განკარგულების პროექტის მიზანია მოქმედი კანონმდებლობისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა, აგრეთვე მისი გაცნობა საკრებულოსა და საზოგადოებისთვის.

2. განკარგულების პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იობაშვილი.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ანგარიშისა და განკარგულების პროექტის წარმდგენი პირები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ანგარიშს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იობაშვილი, ხოლო შესაბამის განკარგულების პროექტს საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია.

გიორგი იობაშვილი
ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე